MES 1 22 0001081183

14/09/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლა
ინგა სააკაშვილი - დაწესებულების დირექტორი

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“
ვახტანგ აბაიშვილი - დაწესებულების დირექტორი

შპს ახალი ლიცეუმი
ნანა ქუთათელაძე - დაწესებულების დირექტორი
მაია მესხი - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს ათასწლეულის სკოლა
ლაშა ტყეშელაშვილი - დაწესებულების დირექტორი

ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლა
ელენე მაჩიტიძე - დაწესებულების წარმომადგენელი
ლიანა კობესაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
ლიკა გიორგაძე - დაწესებულების წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლა
ლელა ჯაში
ნანა ედიშერაშვილი

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“
მიხეილ ტეფნაძე
ნანა მონიავა

შპს ახალი ლიცეუმი
ქეთევან ბაცანკალაშვილი
მაგდა ბარამაძე

შპს ათასწლეულის სკოლა
გულნარა ხაბურზანია
თამარ მიდელაშვილი

ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლა
ნანა მონიავა
ირმა ხუციშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 06 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

2. შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“ - ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ახალი ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს ათასწლეულის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

6. ა(ა)იპ -ჩემი ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს სხდომაზე წარადგინა შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის წერილობითი შუამდგომლობა 06 სექტემბრის საბჭოს სხდომაზე სკოლის ავტორიზაციის საკითხის გადადებასთან დაკავშირებით. დაწესებულება ითხოვდა სკოლის წარმომადგენლის საქართველოში არ ყოფნიდან გამომდინარე საკითხის განხილვის გადადებას 07 სექტემბრის შემდეგ. საბჭოს

წევრებმა ერთხმად გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი შეიცვალა და დამტკიცდა შემდეგი სახით:
1. სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

2. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“ - ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ახალი ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ათასწლეულის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

5. ა(ა)იპ -ჩემი ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვასთან მიმართ ჰქონდა თვითაცილება, რადგან გასულ წლებში შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა დაწესებულებასთან. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა .
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტ, ლელა ჯაშის განცხადებით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 08 და 09 აგვისტოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3000-მდე გაზრდის თაობაზე. მისი თქმით, სკოლამ გასულ წელს მიიღო ავტორიზაცია და მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 1900, თუმცა სკოლას სურდა 3000-მდე მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობის მიღების საშუალება თუ სწავლება განხორციელდებოდა ორ ცვლაში, სკოლას ჰქონდა შესაბამისი სივრცე და მოსწავლეებს შესაბამის საგანმანათლებლო მომსახურებას მიაწოდებდა. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ყურადღება გაამახვილა მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესზე და აღნიშნა, რომ მათი თქმით, მასწავლებლები აცხადებდნენ ორ ცვლაში მუშაობის მზაობას. ლელა ჯაშის განმარტებით, სკოლას ჰქონდა ორი დიდი სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა რომელიც იძლეოდა მოსვენების საშუალებას. ექსპერტის თქმით, ვიზიტის პერიოდში სკოლაში იყო 89 პედაგოგი, სკოლას ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსიები და გეგმავდა კონკურსების ჩატარებას 19 პედაგოგის მისაღებად. ექსპერტის განცხადებით, სკოლას მოწესრიგებული ჰქონდა

საქმისწარმოების წესი. ლელა ჯაშის თქმით, სკოლის არქიტექტურა და განლაგება იძლეოდა შესაძლებლობას მოსწავლეთა დამოუკიდებლად მუშაობისთვის და მორგებული იყო მოსწავლეთა საჭიროებებზე. ექსპერტები, ლელა ჯაში და ნანა ედიშერაშვილი იზიარებდნენ სკოლის პოზიციას და ადასტურებდნენ, რომ ნამდვილად იყო შესაძლებლობა, რომ აღნიშნულ სკოლაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 3000-ით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მოსწავლეთა ადგილების 3000-ით განსაზღვრის შემთხვევაში ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი მიმართვიანობა, სკოლის დირექტორმა, ინგა სააკაშვილმა, უპასუხა, რომ სკოლაში იყო შესაბამისი მომართვიანობა, რის საფუძველზეც სკოლა ზრდიდა მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. ასევე, მან დაამატა, რომ სკოლა მდებარეობდა მოსახლეობით მზარდ რაიონში და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, სკოლა გეგმავდა განათლების ხარისხის შენარჩუნებასა და ამაღლებას. მისი თქმით, აღნიშნულის გარანტია იყვნენ სკოლის მასწავლებლები, რომლებიც იყვნენ მოტივირებულები, მასწავლებლების დიდმა ნაწილმა სხვა სკოლაში მუშაობაზე თქვა უარი და აღნიშნულ სკოლაში დარჩნენ. მან, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სასკოლო პროექტი ,,მოქალაქის უსაფრთხოება“, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში ერთმანეთზე ზრუნვის ჩამოყალიბება. სკოლის დირექტორის მიზანი კი იყო აღნიშნულ პროექტში სასკოლო საზოგადოება მაქსიმალურად ჩართვა.
სკოლის დირექტორმა, ინგა სააკაშვილმა განაცხადა, რომ 19 მასწავლებლის ვაკანსია სკოლის მიერ შევსებული იყო ახალი მოთხოვნის შესაბამისად, მასწავლებლებთან გასაუბრებას ესწრებოდა განათლების სისტემის ოთხი წარმომადგენელი (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან, პროფკავშირიდან და მასწავლებლის სახლიდან). მისი თქმით, კანდიდატები შეირჩნენ კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა ჯერ ხელშეკრულებების გაფორმება მათთან არ იყო დასრულებულა და საბჭოს სხდომის პერიოდშიც მიმდინარეობდა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რამდენად საკმარისი იყო ადმინისტრაციული საშტატო განრიგი 3000 მოსწავლის საქმის სამართავად, რადგან სკოლას ჰყავდა ერთი საქმისმწარმოებელი. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი ბიუჯეტი გადაეხადა კომუნალური გადასახადი და ხშირად განათლების და მეცნიერების სამინისტროს სთხოვდა დავალიანების დაფარვას. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლას არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და ამ შემთხვევაშიც სკოლას სჭირდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მხარდაჭერა. ექსპერტმა, ასევე, დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა ფართი, რომელსაც გასცემდა იჯარის ხელშეკრულებით, რაც მისცემდა დამატებითი შემოსავლის არსებობის საშუალებას.
საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი, დაინტერესდა სკოლის საშტატო განრიგით და აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხელშეკრულებები იყო ძველი დირექტორის ხელმოწერით და, ასევე, იყო ერთ წლის ვადით გაფორმებული. აქვე, მან დაამატა, რომ იმედოვნებდა გაფორმდებოდა ახალი ხელშეკრულებები. აგრეთვე, მან განაცხადა, რომ სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრული იყო 3 მოადგილე და აინტერესებდა, როგორ ჰქონდათ მათ ფუნქციები გადანაწილებული და გეგმავდა თუ არა სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტისთვის შტატის დამატებას. სკოლის დირექტორმა, ინგა სააკაშვილმა უპასუხა, რომ მოადგილეები განაწილებული ჰყავდა საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით. აქვე, მან დაამატა, რომ საშუალო საფეხურზე პასუხისმგებელი მოადგილე ითავსებდა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქციებს, თუმცა მომავალში როცა გაიზრდებოდა კლასების რაოდენობა სკოლას დასჭირდებოდა ცალკე შტატი ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ იმედოვნებდა, სკოლა გაახლებდა ვებ-გვერდს. სკოლის დირექტორმა, ინგა სააკაშვილმა, დაადასტურა, რომ სკოლა გეგმავდა აღნიშნული საკითხის მოგვარებას და სკოლის ვებ-გვერდი გახდებოდა მეტად ინფორმატიული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 3000 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. თბილისის N221 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 3000-ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 06 სექტემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქ. თბილისის N221 საჯარო სკოლას (ს/კ.: 200314301) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3000 მოსწავლით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 06 სექტემბერი.

2. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ნანა მონიავამ. ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან მიმართებით შეუსაბამობები.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 18 და 19 ივლისს, ქალაქ რუსთავში. ექსპერტმა ისაუბრა სკოლაში გამოვლენელ ხარვეზებთან დაკავშირებით. კერძოდ, პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმითა და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას (მაგ. დოკუმენტის მიხედვით შემაჯამებელი დავალების კომპონენტში გამოიყენებოდა განმსაზღვრელი შეფასება, მაშინ, როცა მე-V კლასის მეორე სემესტრსა და მე-VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენებოდა როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასება. ასევე, შეუსაბამობები იყო გაცდენებთან, გამოცდის ტიპებთან და ა.შ.). ექსპერტის თქმით, აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის, მე-7 პუნქტს.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ ისაუბრა სკოლის მატერიალურ ნაწილთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ორსართულიანი, თუმცა შენობის პირველი სართული არ გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისათვის. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში არსებული საევაკუაციო გეგმა არ შეესაბამებოდა სკოლის შენობას. ასევე, დაწესებულების შინაგანაწესის გარკვეული მუხლები არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შინაგანაწესის შინაარსი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას (მოსწავლეთა ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადაყვანის პროცედურები). ასევე, არც სკოლის შინაგანაწესი და არც მოსწავლის ქცევის კოდექსი არ მოიცავდა ინფორმაციას მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეების, შესაბამისი სანქციების განსაზღვრის პროცედურებისა და ვადების შესახებ.
ექსპერტის განმარტებით, სკოლის ვებ-გვერდი ვერ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. აგრეთვე, დარღვეული იყო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და ასევე სამედიცინო კაბინეტი არ იყო აღჭურვილი მოთხოვნების შესაბამისად.
მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (06/ნ ბრძანების შესაბამისად). გარდა ამისა, ექსპერტმა დაამატა, რომ ბიბლიოთეკის დებულება არ შეესაბამებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს - დებულებაში ჩანაწერები იყო როგორც მოსწავლეებზე, ასევე პროფესიული განათლების სტუდენტებზე.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის შერჩევის დოკუმენტი არ შეესაბამებოდაN175/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასევე, ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, არ იყო განმარტებული თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარების წესი, ვაკანსიის შესახებ განცხადების გავრცელების/გამოქვეყნების წესი. ასევე, მასწავლებლების შერჩევის პრინციპი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. არ იყო წარმოდგენილი კონკურსის ჩატარების ოქმები, არც ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. ექსპერტმა დაამატა, რომ თანამშრომლებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლეობის შესახებ.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეესაბამოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდებოდა სტატუსი, მიუხედავად მათი სტატუსისა არ იყო განსხვავება მათ ვალდებულებებში. ასევე, ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელთან არ იყო ხელშეკრულება გაფორმებული. სკოლას არ ჰქონდა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია არ ითვალისწინებდა ხელშეკრულებების რეგისტრაციას. ასევე, ექსპერტის თქმით, თანამშრომლების ნაწილთან გაფორმებული ხელშეკრულების თარიღად ყველგან მითითებული იყო 2022 წლის 1 სექტემბერი, ხოლო მოქმედების ვადად 4.1. პუნქტში 2022 წლის 15 ივლისი იყო.

ექსპერტ მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, დაწესებულებაში განლაგებული მერხებისა სკამების ჯამური რაოდენობა იყო 502 ერთეული. სკოლა, ექსპერტის განმარტებით, არ ფლობდა კომპიუტერების საკმარის რაოდენობას. ექსპერტის თქმით, სკოლას შესაბამისი მომსახურების გაწევა შეეძლო მხოლოდ 220 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციის შედეგად, რამდენად საკმარისი გახდა სკოლაში არსებული კომპიუტერები სასწავლო პროცესისათვის და, ასევე, რამდენად გამართულ კომპიუტერებს ფლობდა დაწესებულება. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, კლასში არ სწავლობდა 14 მოსწავლეზე მეტი, შესაბამისად, კომპიუტერული ოთახი აღჭურვილი იყო 15 მომუშავე კომპიუტერით. სკოლის წამომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში არსებული ყველა კომპიუტერი გამართულად ფუნქციონირებდა. აქვე, ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში კომპიუტერულ კლასში არსებული 14 კომპიუტერიდან არ მუშაობდა 7 კომპიუტერი. მისივე თქმით, სკოლის მიერ შესყიდული 23 კომპიუტერიდან მუშაობდა მხოლოდ 11.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ჰქონდათ თუ არა დაწესებულებას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი გაგზავნილი შესათანხმებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უსაფრთხოების აღნიშნული წესის ახალ ვარიანტს გააგზავნიდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ზვიად გოგუაძის კითხვის საპასუხოდ, ფლობდა თუ არა დაწესებულება უსაფრთოხების ძველ წესს, სკოლამ განაცხადა, რომ ისინი წესს ფლობდნენ, თუმცა ექსპერტებმა აღნიშნული არ დაადასტურეს.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლას უფიქსირდებოდა მრავლობითი დარღვევა. მისი თქმით, სკოლამ დარღვევებთან დაკავშირებით წარმოადგინა საპასუხო კორესპონდენცია, რომელიც ზვიად გოგუაძის განმარტებით, ხარვეზებთან დაკავშირებულ გარემოებას არ ასახავდა. გარდა ამისა, ზვიად გოგუაძის თქმით, სკოლამ 6 სექტემბერს წარმოადგინა საკლასო ოთახების ფოტოსურათები, რომლებიც მისი განცხადებით, ასახავდა საკლასო ოთახის მოუწესრიგებელ ინვენტარს: მერხებსა და სკამებს. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რა მიზნით წარმოადგინა დაწესებულებამ აღნიშნული ფოტოსურათები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკლასო ოთახების ფოტოსურათები ასახავდა პირველი სართულის სასაწყობე ოთახს, სადაც დაწესებულებამ ერთმანეთისაგან გამიჯნულად წარმოადგინა სასკოლო ინვენტარი: მერხი და სკამი, რომელიც გამოიყენებოდა სასწავლო პროცესისათვის. სკოლის წარმომადგენლებმა, ასევე, განმარტეს, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების გამართულად მუშაობის დემონსტრირების მიზნით, ფოტოსურათზე, ასევე, წარმოადგინეს კომპიუტერები.

საბჭოს სხდომა 16:15 საათზე დატოვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა.
საბჭოს სხდომაზე 16:15 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:30 საათზე.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, სკოლაში მომუშავე მასწავლებელთა უმრავლესი ნაწილი რატომ იყო უსტატუსო. ასევე, შალვა მეკრავიშვილმა მიმართა დაწესებულებას დაეზუსტებინათ, ჩართული იყო თუ არა სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე მოდელის დანერგვის პროცესში. საბჭოს წევრის კითხვა, ასევე, ეხებოდა სკოლაში არსებულ საზაფხულო ბანაკებს, მან სთხოვა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, რამდენად ითავსებდა არსებული ბანაკები საგანმანათლებლო ფუნქციებს. დასმული შეკითხვების საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკოლაში მომუშავე ოთხი მასწავლებელი გადიოდა მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიან პროგრამას, რის შემდეგაც მოიპოვებდნენ სტატუსს. მათივე განმარტებით, სკოლა დაინტერესებული იყო კადრების პროფესიული განვითარებით. მათი თქმით, სკოლაში არსებულ კათედრებს დაევალათ ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე მოდელით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების შექმნა. დაწესებულების განმარტებით, სკოლაში მოქმედი საზაფხულო ბანაკები ატარებდა შემეცნებით ხასიათს და ავითარებდა ისეთ უნარებს მოსწავლეებში, როგორებიც იყო გუნდურობა და ერთმანეთზე ზრუნვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 220 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 8
ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 სექტემბრის N115 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 28 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, ცენტრი შუამდგომლობდა საბჭოსთან, მოსწავლეთა მობილობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 28 სექტემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლა „რეცა“-ს (ს/კ: 216305200) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 28 სექტემბერი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რომელმაც გამოავლინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტის დარღვევა. დავით მალაზონიამ, აქვე, დაამატა, რომ მოცემულ ეტაპზე ის ვერ ხედავდა სკოლის მხრიდან დასახელებული ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობას. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება, ასევე, გაიზიარა საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო, როგორც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებას. მისი თქმით, სკოლა არ იყო ორიენტირებული განვითარებასა და ხარვეზების გამოსწორებაზე. ასევე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და პეტრე ბაბილუამ გაიზიარეს საბჭოს წევრის, ზვიად გოგუაძის მოსაზრება და დაამატეს, რომ ისინი გაეცნენ დაწესებულების 2016 წლის ავტორიზაციის დასკვნას, სადაც დაფიქსირებული იყო მსგავსი ხარვეზები და ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები არ იყო გათვალისწინებული. საბჭოს წევრის, ეკატერინე კვირიკაშვილის განმარტებით, სკოლა არ ზრუნავდა ხარვეზების გამოსწორებაზე. მისი აზრით, დაწესებულება არ ადევნებდა თვალს და არ ნერგავდა საკუთარ პრაქტიკაში განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებს.

საბჭოს სხდომა 17:00 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა.

3. შპს ახალი ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და მაგდა ბარამაძემ. ექსპერტ, ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმიდინარე წლის 18 და 19 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა დაარსებული იყო 1996 წელს, ჰქონდა დიდი გამოცდილება და საკუთარი ტრადიციები. ქეთევან ბაცანკალაშვილის თქმით, სკოლა ორიენტირებული იყო მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და

განმარტა, რომ სკოლის ძლიერი მხარე იყო მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტატური მომსახურება, რაც დასტურდებოდა მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნამუშევრებითა და შემოქმედებითი პროექტებით. ქეთევან ბაცანკალაშვილის თქმით, სკოლა პროგრამულ და ადამიანურ ნაწილში სრულად შეესაბამებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს. მან აღნიშნა, რომ შპს ახალ ლიცეუმს შემუშავებული ჰქონდა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შედგენილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. აქვე, მან დაამატა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიც. ექსპერტის განცხადებით, სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუებით, წარმოდგენლი დოკუმენტაციის შესწავლით, მოსწავლეთა ნაშრომებისა და პროექტების გაცნობით დადგინდა, რომ სკოლაში იყო ჯანსაღი, თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. მისი თქმით, მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სკოლის მიერ გაწეულ საგანმანათლებლო სერვისებთან დაკავშირებით და აღნიშნავდნენ, რომ გარდა ხარისხიანი სასწავლო პროცესისა, ჰქონდათ სიმშვიდის განცდა, მოსწავლეები ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში ატარებდნენ დღის მნიშვნელოვან ნაწილს. მშობლები სრულ ნდობას უცხადებდნენ სკოლის პერსონალსა და მასწავლებლებს. მიაჩნდათ, რომ სკოლა სერიოზულად ეკიდებოდა ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს, რაც მათი შვილების ჯანსაღ განვითარებას და აკადემიურ წინსვლას უკავშირდებოდა. ასევე, ექსპერტის თქმით, მოსწავლეები ღიად საუბრობდნენ თვითთმმართველობისა და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში ბევრი საინტერესო აქტივობა ხორციელდებოდა.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ იკვეთებოდა ხარვეზი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ქვესტანდარტთან დაკავშირებით. კერძოდ, ვიზიტის დროს, დაწესებულებას მეორე სართულზე ჰქონდა მოწყობილი სამედიცინო ოთახი, რომელშიც განთავსებული იყო ონკანი, პაციენტის გასასინჯი ტახტი, საკაცე და სხვა სამედიცინო ინვენტარი, თუმცა სამედიცინო ოთახის პარამეტრები, ასევე, მისი აღჭურვილობა და ექიმის კვალიფიკაცია, არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, ოთახის სივრცე 12 კვ.მ-ზე ნაკლები იყო და სრულად არ იყო აღჭურვილი წესში განსაზღვრული ავეჯით, ტექნიკითა და მედიკამენტებით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ქვესტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, ექიმის კაბინეტის ახალ სივრცეში მოწყობის ამსახველი ფოტო-მასალა, სამედიცინო ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შპს „ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრთან“ (HLS) გაფორმებული ხელშეკრულება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანსიისთვის.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა სკოლის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 5 უსტატუსო მასწავლებელი, რაზეც სკოლას ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია, მუდმივად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, ჰქონოდა მცდელობა შეერჩია შესაბამისი კვალიფიკაციისა და სტატუსის მქონე მასწავლებლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად შეესაბამებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სრულად იყო აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ექსპერტის თქმით, ლაბორატორიაში დაცული იყო სპეციალური წესით ქიმიური რეაქტივები, ასევე, მოწყობილი იყო სველი წერილი. ექსპერტმა დაამატა, რომ ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული გამწოვი, თუმცა ოთახს ჰქონდა ბუნებრივი განიავების საშუალება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რა მდგომარეობა იყო ექიმის ვაკანსიასთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა, ნანა ქუთათელაძემ განმარტა, რომ სამედიცინო ოთახი სკოლამ მოაწყო ბრძანების შესაბამისად და შეიძინა ყველა ნივთი და მედიკამენტი, რაც იყო ბრძანებით განსაზღვრული. მან, ასევე ისაუბრა ექიმის ვაკანსიასთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ კონკურსის შედეგად ვერ შეირჩა შესაბამისი კადრი და სკოლის კვლავ ჰქონდა გამოცხადებული ექიმის ვაკანსია.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებზე და მიმართა სკოლას, თუ რომელი მათგანი იყო სკოლის მხრიდან მოცემული მომენტისთვის დაკმაყოფილებული და გათვალისწინებული. სკოლის წარმომადგენელმა, ნანა ქუთათელაძემ განმარტა, რომ მოსწავლის შეფასების სისტემასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა და სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავდა მასწავლებლებისთვის ტრენინგის ჩატარებას, რომელსაც წარუძღვებოდა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი. გარდა ამისა, მან დაამატა, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის წევრებისთვის სკოლა ითანამშრომლებდა ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც საქმისწარმოების მიმართულებით ჩაუტარდებოდათ ადმინისტრაციის წევრებს ტრენინგები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, კიბის უჯრედში კამერების დამატებასთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა და კიბის უჯრედებსა და ეზოს ტერიტორიაზე დამატებული იყო შესაბამისი ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, რაც დასტურდებოდა დოკუმენტაციითა და ფოტო-მასალით, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა სკოლას ცენტრში არგუმენტირებული პოზიციის სახით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 220 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბერს N88 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 06 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 06 სექტემბერს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ახალ ლიცეუმს (ს/კ: 202059039) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 06 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს ათასწლეულის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, გულნარა ხაბურზანიამ და თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ განაცხადა, რომ შპს ათასწლეულის სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 11 და 12 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N109- ში. ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა თანამედროვე და კეთილმოწყობილ შენობაში. ექსპერტის განმარტებით, წინა ვიზიტის დროს დაწესებულებას ექსპერტთა მიერ არ ჰქონდა მიღებული რეკომენდაციები. გულნარა ხაბურზანიას თქმით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩათვლილიყო სამეცნიერო ჟურნალის არსებობა და მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საქმიანობის უნარ-ჩვევების განვითარება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ჟურნალის წარმოებაში ჩართულნი იყვნენ, როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლებიც. მან აღნიშნა, რომ სკოლაში არსებობდა პრაქტიკა „ერთი დღე, ერთი პრობლემა“, როდესაც მოსწავლეები ორიენტირებულნი იყვნენ პრობლემურ სწავლებაზე. ამ ტიპის სასწავლო ერთეულის დანერგვა ეხმარებოდა მოსწავლეებს გაეუმჯობესებინათ ლაბორატორიაში მუშაობის ხარისხი. ექსპერტ გულნარა ხაბურზანიას განცხადებით, დაწესებულებაში არსებობდა შიდა სასკოლო დასაქმების პროგრამა, რომელიც ფუნქციონირებდა 2021 წლის სექტემბრიდან, მე-10-მე-12 კლასებისთვის. ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეები იღებდნენ ადმინისტრაციული და აკადემიური

მიმართულებით, ასისტენტის პოზიციაზე შეთავაზებას და დასაქმება ხდებოდა კონკურსის წარამატებით გავლის შედეგად, ერთი სემესტრის განმავლობაში. ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განცხადებით, სასკოლო კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო დილის შეხვედრები, რომელიც მიმდინარეობდა 20 წუთის განმავლობაში და გულისხმობდა სოციალური უნარების განვითარებას მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის.

ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განცხადებით, ექსპერტებმა გასცეს სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება ხელმძღვანელობდა მესამე მოდელის საათობრივი ბადით, რომელიც შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას საათობრივი ბადე ცალკე ჰქონდა წარმოდგენილი. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ საათობრივი ბადე უნდა ყოფილიყო სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი.

ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განცხადებით, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების ანალიზთან დაკავშირებით. მათი განცხადებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი იყო ინფორმაციული, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მოცემული იყო მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ დოკუმენტაციაში არ იყო გამოკვეთილი კონკრეტული ნაბიჯები, თუ რა შეიძლებოდა გამოეყენებინა პედაგოგს გასაუმჯობესებლად. ექსპერტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო გაწერილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მათი ჩატარების ფორმა. გულნარა ხაბურზანიას განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი გასწორებული უნდა ყოფილიყო ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ რეკომენდაცია მიიღო რემედიაციის პროგრამასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, აკადემიური საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა მიეღო პედაგოგის მხარდაჭერა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, მშობლების ხელშეკურილების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ რემედიაციის პროგრამა მოიაზრებდა ფასიან მომსახურებას. დაწესებულებამ განაცხადა, რომ ეს იყო სამი წლის წინანდელი ტექსტი და ექვემდებარებოდა ჩასწორებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რემედიაციის პროგრამა იყო უფასო და შესაბამისად, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. გულნარა ხაბურზანიას თქმით, დაწესებულებას ხელშეკრულების დაკორიქტირებული ვარიანტი არ წარმოუდგენია ვიზიტის დროს და არც არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას. ექსპერტის განცხადებით, შინ სწავლების საკითხთან დაკავშირებით სასკოლო სასწავლო გეგმაში მხოლოდ სსსმ მოსწავლე იყო გათვალისწინებული, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია, რათა ყველა მოსწავლეს თანაბრად ესარგებლა დაწესებულების მხრიდან შეთავზებული რესურსებით. ექსპერტთა ჯგუფმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ასევე გასცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია. კერძოდ, ბიბლიოთეკაში წიგნების ინვენტარიზაცია სრულად მომხდარიყო. ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განცხადებით, მათ გასცეს რეკომენდაცია კიბის უჯრედებსა და გარე პერიმეტრზე 11 ვიდეო-კამერის დამატებაზე. ექსპერტის განცხადებით, 7 კამერის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის პერიოდშივე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო მოწვეული, მაძიებელი, უფროსი და წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებლები. მისი თქმით, დოკუმენტაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 29 უსტატუსო მასწავლებელი, მათგან 12 პედაგოგი დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე. ექსპერტის განცხადებით, 12 პედაგოგს გაფორმებული ჰქონდა ზოგადი განათლების კანონის შეუსაბამო ხელშეკრულებები. გულნარა ხაბურზანიას განცხადებით, ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე შეწყდა შრომითი ხელშეკრულება აღნიშნულ თორმეტ პედაგოგთან.

ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განცხადებით, ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა სკოლის საშტატო განრიგისა და დებულების მიხედვით გაწერილი სტრუქტურული ერთეულების შესაბამისობაში მოყვანას, რაც გულისხმობდა სამეურნეო მენეჯერის, ფსიქოლოგისა და ფსიქოლოგთა ჯგუფის, ბიბლიოთეკარისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის შრომითი ხელშეკრულებების შეუსაბამობას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 457 მოსწავლე. დაწესებულება ავტორიზაციას ითხოვდა 630 მოსწავლეზე, თუმცა, ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინებით, ექსპერტები არ ეთანხმებოდნენ აღნიშნულ რაოდენობას. მათი განცხადებით, დაწესებულებას საგანამანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 616 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო თანამშრომლობითი და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, მისი თქმით, საუკეთესო პრაქტიკაში აღნიშნული იყო, რომ სკოლის მოსწავლეებისთვის გაკვეთილების შემდეგ ცხადდებოდა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პოზიციებზე ასისტენტის თანამდებობაზე ვაკანსია სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ საგაკვეთილო პროცესის შემდეგ დასაქმება. პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, სკოლის განრიგიდან გამომდინარე რამდენად იყო შესაძლებელი მოსწავლეებისთვის ამ ტიპის დასაქმება.

სკოლის დირექტორმა, ლაშა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, გამოცხადებულ ვაკანსიებზე მომუშავე მოსწავლეები იძენდნენ ახალ ცოდნას და უნარებს. შესაბამისად, იმაღლებდნენ გამოცდილებას აკადემიური კუთხით და ერთვებოდნენ სასკოლო საქმეთა წარმოებაში. სკოლის დირექტორის განცხადებით, მათი საქმიანობა ემსახურებოდა ეროვნულ სასწავლო მიზნებს.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების განცხადებით, სკოლას ჰქონდა განსაკუთრებული სასკოლო კულტურა. მისი განმარტებით, სკოლის მოსწავლეების მშობლები აღნიშნავდნენ, რომ ბავშვები მაქსიმალურად ერთვებოდნენ სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაში.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ აღნიშნა, რომ სკოლაში არსებული სამეცნიერო ჟურნალი, მასში არსებული კვლევითი ნაწილით იყო გამართული. მან განაცხადა, რომ დაწესებულების ვიდეო გაკვეთილები მრავლისმომცველი და საინტერესო იყო.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ახალგაზრდა მასწავლებლები იყვნენ დასაქმებულნი, რაც სტრატეგიულ გათვლად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. მისი აზრით, აღნიშნული ფაქტი სკოლისთვის პოზიტიური მახასიათებელი იყო.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა კონკრეტული კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ჰყავდა შერჩეული მასწავლებლები. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მასწავლებელთა საშუალო ასაკი 27 წელი იყო.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ სკოლის სოციალური გვერდი საკმაოდ საინტერესო იყო საბუნებისმეტყველო მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა პოზიტიურ მიგნებებზე ამახვილებდნენ მოსწავლეები ყურადღებას ინტერვიუირების დროს.

ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განმარტებით, მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ისინი სწავლობდნენ პრაქტიკული მუშაობით და, შესაბამისად, მათ უკეთ ამახსოვრდებოდათ სასწავლო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 616 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ათასწლეულის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 616-ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბერს N91 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 12 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 12 სექტემბერს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ათასწლეულის სკოლას (ს/კ: 204528699) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 616-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 12 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზვრა ქართული ენა.

5. ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ ავტორიზაციის მინიწების შემთხვევაში დაწესებულება იფუნქციონირებდა ქ. ლაგოდეხში. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს სრული მზაობა რათა რეგიონში გახსნილიყო კერძო სკოლა. ექსპერტის განცხადებით, შენობის ინფრასტრუქტურა იყო თანამედროვე და კეთილმოწყობილი. შექმნილი იყო შესაბამისი ადაპტირებული გარემო.

ექსპერტის თქმით, სკოლა გამოთქვამდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისა და 120 მოსწავლის მიღების მზაობას. ნანა მონიავას განმარტებით, სკოლას ჰქონდა სპორტული დარბაზი, რომელიც იყო შესაბამისი წესით მოწყობილი. საკლასო ოთახები იყო მოწესრიგებული, აღჭურვილი 120 მოსწავლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. ექსპერტმა აღნშნა, რომ შესვენებების დროს სკოლა აპირებდა სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მომზადებული ჰქონდა უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტიც, რომელიც არ იყო გადაგზავნილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის თქმით, სკოლა ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში გეგმავდა აღნიშნული დოკუმენტის განათლებისა და მეცნიერების სამინისტორიში გადაგზავნას. ნანა მონიავას განცხადებით, სკოლა იყო კვლევებზე ორიენტირებული, გამოთქვამდნენ ნორჩ მკვლევართა წრის შექმნის სურვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს სკოლის სახელთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე მაჩიტიძემ, განაცხადა, რომ სახელი „ჩემი ევროპული სკოლა“ ზუსტად ასახავდა სკოლის სამომავლო მისიასა და მიზნებს. საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, თუ რა მოლოდინი ჰქონდა სკოლას პირველკლასელი მოსწავლეების რაოდენობასთან დაკავშირებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ელენე მაჩიტიძემ, განაცხადა, რომ მოსწავლეთა რაოდენობა სკოლაში მზარდი იყო, მისი თქმით, არსებობდა წინასწარი მოლოდინი სავარაუდოდ განცხადებებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჩემი ევროპული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ჩემ ევროპულ სკოლას (ს/კ: 433109496) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 06 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:05 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა